ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1317695

ნომერი: AR1225065

თარიღი : 02.06.2014

გაცემის თარიღი : 09.06.2014

გაცნობის თარიღი : 25.06.2014

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი , მეურნეობის ტერიტორია ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ტარასი ხიჯაკაძე პ/ნ 54001053882
- ჭიათურა სტალინის ქ. N 69

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1225065 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას თქვენს დაინტერესებაში არსებულ საკადასტრო ერთეულზე (საკადასტრო კოდი: #01.72.14.006.278) მიწის მოჭრასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:
თქვენს დაინტერესებაში არსებული ტერიტორია ხასიათდება რთული რელიეფით შესაბამისად, არქიტექტურის სამსახურს, მიწის სამუშაოების ჩატარების განხილვა შესაძლებლად მიაჩნია მხოლოდ პროექტის შეთანხმების სტადიაზე. აქედან გამომდინარე, ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.
ასევე ინფორმაციის სახით გაცნობებთ, რომ მოცემული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარების თაობაზე სამსახურში დაწყებულია ადმინისტრაციული წარმოება და ვინაიდან აღნიშნული საჭიროებს "ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის" სხდომაზე განხილვას, შესაბამისად აღნიშნული საკითხი გადაგზავნილა ზემოაღნიშნულ კომისიაზე განსახილველად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.